სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის №17

დადგენილება

ქ. თბილისი
05.11.2026

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 „ს“ ქვეპუნქტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13.1 „ფ“ ქვეპუნქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესის დებულების 20.1 პუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2026 წლის 14 ნოემბრიდან გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები.
2. დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2026 წლის 25 ნოემბერს და დასრულდეს 2026 წლის 8 დეკემბერს, რის შემდეგაც გაიმართება კენჭისყრა, რომლის ჩატარებასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია მოხდეს დრამის ფაკულტეტზე.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვებს:

ა. ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, ეკავოს პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა;

ბ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჰქონდეს არანაკლებ 6 წლის მუშაობის გამოცდილება;

გ. გააჩნდეს თანამედროვე საგანმანათლებლო კანონმდებლობის, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა, ერკვეოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სტრუქტურაში და მოთხოვნებში;

დ. გააჩნდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის გამოცდილება;

5. კანდიდატმა აუცილებელია წარმოადგინოს:

ა. მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაცია;

ბ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინება;

დ. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული სხვა სახის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში);

7. დადგენილების შესრულება დაევალოს დრამის ფაკულტეტის საბჭოს.

8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე გიორგი შალუტაშვილი